სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 იანვარი 2025

N 21/278

შპს „მემული ჰესის“ დირექტორს
ბატონ კონსტანტინე მჭედლიშვილს
მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №100
ელ.ფოსტა: k.mchedlishvili@peri.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო კონსტანტინე,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N938 და N6593 განცხადებები, რომლებიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხვანდირზე 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მემული ჰესის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო მემული ჰესის შემადგენლობაში შემავალი ობიექტები განთავსდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ამჟამად აღნაგობის უფლებით გადაცემულია სს „ნენსკრა ჰიდროზე“, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს შეთანხმების დოკუმენტის გაფორმება, რომელიც წარმოდგენილი იქნება ცალკე დოკუმენტის სახით სააგენტოში შესათანხმებლად.“ თუმცა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შპს „მემული ჰესის“ მიერ შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სათავე ნაგებობისა და დროებითი სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 42.15.38.053). შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიების საკუთრების ან/და სარგებლობის (მათ შორის შეთანხმების) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის შენობაში დამონტაჟდება ორი ვერტიკალური პელტონის ტიპის ტურბინა, რომლის საერთო სიმძლავრე იქნება 11.01 მგვტ (თითოეულის 5.5 მგვტ.). თუმცა ცხრილში 2.4.1 („მემული ჰესის ძირითადი მონაცემები“) მითითებულია, რომ თითო აგრეგატის დადგმული სიმძლავრეა 5.51 მგვტ (ხოლო სადგურის დადგმული სიმძლავრე 11.02 მგვტ). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც თითოეული ტურბინის, ისე მათი საერთო სიმძლავრე;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზების მოწყობა. დაზუსტებას საჭიროებს მისასვლელი გზ(ებ)ის პარამეტრები (სიგრძე, სიგანე).

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/278-21-2-202501201729